
ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. №1

ღვინის ქარხანა №1 ტერიტორიაზე არსებული აუზის

მცირე სახელოვნებათმცოდნეო კვლევა


ღვინის ქარხანა №1-ზე ჩვენს მიერ მოცულობითი კვლევა მომზადდა 2018 წელს. ამდენად, ამჟამად მცირედით შევეხებით მხოლოდ მის ისტორიას და საპროექტო ნაწილს.



ამ ეტაპზე დაგეგმილია შენობის აღმოსავლეთ მონაკვეთში, მელიქიშვილის და პეტრიაშვილის ქუჩების კუთხესკენ განთავსებული აუზის ადგილზე მსუბუქი კონსტრუქციის მოწყობა.

სავანე-ღვინის ქარხანა, განთავსებული პეტრიაშვილის ქუჩა №1-ში, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ძველ ნაგებობას თბილისის ისტორიული ნაწილის ყველაზე გვიან ჩამოყალიბებულ უბანში – ვერის უბნის განაპირას, ვარაზისხევის საზღვარზე.

ნაგებობა აშენებულია 1894-96 წლებში, ინჟინერ-არქიტექტორის ალექსანდრე გრიგოლის ძე ოზეროვის (1848-1922) მიერ და თავდაპირველად წარმოადგენდა საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფს.



XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საუფლისწულო უწყების მიერ, კახეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ინტენსიურად მიმდინარეობდა ღვინის ქარხნებისა და სარდაფების შენება, რაც დაკავშირებული იყო მეღვინეობის, როგორც წარმოების დარგის განვითარებასთან. სავანე-ქარხნის ისტორია დაიწყო XIX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საუფლისწულო მამულების უწყებამ თბილისში განიზრახა ღვინის ქარხნის კანტორისა და ბინების აგება. იმ დროს ვერაზე უკვე იყო დავით სარაჯიშვილის ღვინისა და კონიაკის ქარხანა და ახალი საუფლისწულო სარდაფის ასაგებადაც მიწის ტერიტორია ვერაზე იქნა შერჩეული. თბილისელი ვაჭრის, პეტრე მაკაროვისაგან შესყიდულ იქნა მიწა განთავსებული მაშინდელი წყნეთის ქუჩაზე. ქარხნის მშენებლობა დაევალა თბილისში მოღვაწე და ამგვარი ობიექტების მშენებლობაში დაწინაურებულ არქიტექტორს – ალ. ოზეროვს, რომელიც მეღვინეობის უკეთ გასაცნობად გაგზავნილ იქნა პარიზში. პროექტის შედგენაში მონაწილეობდა აგრეთვე, იმ დროის ცნობილი მეღვინე, გ. გოგოლ-ივანოვსკი, რომელიც შემდეგ ქარხნის მმართველიც იყო. 1897 წელს ქარხანამ უკვე

გამოუშვა პირველი პროდუქცია – 1000 ბოთლი ღვინო. თითქმის საუკუნის მანძილზე ქარხანას არ შეუწყვეტია წარმოება, 1996 წელს სავანე-ღვინის №1 ქარხანა ჩამოყალიბდა, როგორც სააქციო საზოგადოება. ქარხანას აქვს უძველესი და უნიკალური ენოთეკა, რომელიც წლების მანზილზე 40 000 სხვადასხვა დასახელების ბოთლს მოიცავდა, მათ შორის, უნიკალური მარკის სასმელებს.

რაც შეეხება სავანე-ქარხნის ხუროთმოძღვრულ სახეს, იგი ერთგვარად ექსპერიმენტული ხასიათისაა – მოზრდილ ბაღში განთავსებული ძირითადი



ნაგებობის არქიტექტურულ-გეგმარებითი კომპოზიციის საფუძველს ორი ურთიერთპერპენდიკულარულად გადაკვეთილი სამნავიანი ბაზილიკა ქმნის, რომლის საერთო მოხაზულობაც ჯვრის ფორმას უახლოვდება. ამ საწარმოო ფუნქციის მქონე ნაგებობის ფასადები, აგრეთვე, საეკლესიო არქიტექტურის ფორმათა და ელემენტთა სტილიზაციას წარმოადგენს. ქარხნის დიდი ნაწილი მიწის ქვეშ არის მოქცეული, მელიქიშვილის ქუჩიდან შენობა 3-სართულიანია, 2-

სართულიანი სარდაფი შეჭრილია მიწაში. მიწის ზევით მესამე სართულზე ადმინისტრაციული და საცხოვრებელი ნაწილია განლაგებული. სარდაფის პირველი იარუსის იატაკი უსწორდება მელიქიშვილის ქუჩის დონეს. სრულიად ორიგინალური გეგმარებისა და საფასადო გაფორმების მქონე ნაგებობის შექმნა, ზოგადად დამახასიათებელია მისი ავტორის სამოქალაქო ინჟინერ ალ. ოზეროვის შემოქმედებისათვის.



1898 წელს შედგენილ თბილისის რუკაზე, ქალაქის განაპირას, I საპოლიციო მონაკვეთში განთავსებული ახალი ნაგებობა და მისი დამხმარე სათავსოები უკვე აღნიშნულია, როგორც საუფლისწულო უწყების სამმართველო და საწყობი.

1902 წლის რუკაზე ქარხანა, მითითებულია როგორც საუფლისწულო უწყების სარდაფი, მაშინდელ ვარდისუბანში, ვარაზისხევის პირას, მის მახლობლად კი, დღევანდელი პეტრიაშვილის ქუჩაზე, დაახლოებით №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ადგილზე, მიწისმზომელთა სასწავლებელია აღნიშნული.

1907 წლის რუკაზე ჩნდება ახალი მნიშვნელოვანი შენობა – თბილისის ქართული სათავდაზნაურო გიმნაზია, დღევანდელი ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, მცირეოდენი ცვლილებებია თავად

საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფის ტერიტორიაზეც, დატანილია 2 მცირე და ერთი საშუალო ზომის სწორკუთხა ნაგებობა.

შემდგომი წლების რუკის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო ცვლილებები არ არის. ქალაქის ზრდის შესაბამისად, გაჩნდა მხოლოდ ახალი უბნის აღმნიშვნელი წარწერა – ვაკე.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში, 1924 წლის რუკაზე, ღვინის სარდაფს სახალხო ეწოდება, ძირითადი შენობის უკან, კვლავინდებურად აღნიშნულია სწორკუთხა გეგმარების მქონე, როგორც ჩანს, დამხმარე ფუნქციის მქონე ნაგებობა, რომელიც დღემდეა შემორჩენილი.

ამრიგად, როგორც ისტორიული რუკებიდან ირკვევა, სავანე ღვინის ქარხანამ ჩვენამდე ძირითადად, პირვანდელი გეგმარებით მოაღწია, მნიშვნელოვანი ცვლილებები არც მის საერთო სახეს არ განუცდია.



გვიანდელი ჩარევები ტერიტორიის კეთილმოწყობას შეეხო: რელიეფზე განთავსებულ ბაღში გაჩნდა სავალი ბილიკები, აუზი, თვითონ შენობას სარდაფის დონეზე მიუშენდა ახალი მოცულობა მელიქიშვილისა და პეტრიაშვილის ქუჩათა მხრიდან, გარემონტდა და განახლდა ცალკე მდგომი ნაგებობა ეზოს უკანა ნაწილში და ა.შ.

ზემოთ ხსენებული აუზია ჩვენთვის საინტერესო, რომელიც განთავსებულია ტერიტორიის აღმოსავლეთ კუთხესთან. სწორკუთხა აუზი მთავარი შენობისგან მოცილებულია და ქვედა ბაქანზე მდებარეობს, რომელიც გამოყოფილია განიერი გამწვანებული ზოლით. ამჟამად აუზის სიახლოვეს განთავსებულია ბარი, თავისი მაგიდებით და სკამებით.

საპროექტო წინადადება ითვალისწინებს, აუზის დაფარვას, და მის ადგილას მსუბუქი, შემინული ლითონის კონსტრუქციის განთავსებას.

ვფიქრობთ, ამ ტერიტორიაზე მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება არ დააზიანებს კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლია მხატვრულ სახე. ამავე დროს, თავად აუზი

არ წარმოადგენს ძეგლის თავდაპირველ, ავთენტურ ნაწილს და მისი დაფარვაც (და არა მოშლა), არ იქნება ძეგლის ისტორიული გარემოსთვის დანაკლისი. ამდენად, ვფიქრობთ საპროექტო წინადადების განხორციელება შესაძლებელია და იგი არ დაარღვევს ძეგლის ვიზუალურ აღქმას და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს.

რეკომენდაციები:

- ღვინის ქარხანა №1-ის ეზო წარმოადგენს ერთგვარ პარკს, სკვერს, სადაც განტავსებულია საპარკო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ობიექტები. ახალი ობიექტიც უნდა იყოს მაქსიმალურად მსუბუქი და ეწერებოდეს საერთო გარემოში.
- შესაძლებელია ნაგებობა იყოს მსუბუქი ლითონის კონსტრუქცია, რომელიც შეიფუთება მინით.

ხელოვნებათმცოდნე: გ. პატაშური